

დაცული ტერიტორიები (D-1)

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	გიორგი სანაძე
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	gsanadze@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (500)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2025 წ. 18 მარტი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2025 წ. 18 მარტი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2025 წ. 18 მარტი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1. მონაცემების აღწერა	
დაცული ტერიტორიების ფართობის შესახებ არსებული ცხრილი მოიცავს ინფორმაციას დაცული ტერიტორიების ფართობის შესახებ ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) და ეროვნული კატეგორიების მიხედვით. მიღებული მონაცემების გავრცელება ხდება ვებსაიტზე ცხრილების და გრაფიკების სახით, ასევე მონაცემთა ბაზების საშუალებით.	
3.2. კლასიფიკაციის სისტემა	
საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=22	
3.3. სექტორის მოცვა	
დაცული ტერიტორიების ფართობი მოიცავს საქართველოს სახმელეთო ტერიტორიასა და/ან აკვატორიას, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით. მასში შედის დაცული ტერიტორიის შემდეგი კატეგორიები: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. ხოლო ბუნების დაცვის საერთაშორისო კატეგორიების მიხედვით: Ia (მკაცრი ბუნებრივი რეზერვატი), Ib (ველური ტერიტორია), II (ეროვნული პარკი), III (ბუნების ძეგლი), IV (ჰაბიტატების/სახეობების მართვის ტერიტორია), V (დაცული ლანდშაფტი), VI (რესურსების მართვის დაცული ტერიტორია).	
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	
<p>დაცული ტერიტორია – ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენების შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორია და/ან აკვატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე. დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.</p> <p>სახელმწიფო ნაკრძალი – ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით შექმნილი დაცული ტერიტორია.</p>	

<p>ეროვნული პარკი – ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის შექმნილი დაცული ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი, ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა, ბიოცენოზი და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველთა ან ველურ მცენარეთა სახეობა.</p> <p>ბუნების ძეგლი – ეროვნული მნიშვნელობის მქონე შედარებით მცირე ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები ან ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტები. ბუნების ძეგლი შეიძლება იყოს მღვიმე, ხეობა, მდინარის დელტა, ტყის კორომი და სხვ.</p> <p>აღკვეთილი – ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმის ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზებისა და არაორგანული წარმონაქმნების შენარჩუნებისათვის საჭირო ბუნებრივი პირობების დასაცავად შექმნილი დაცული ტერიტორია, რაც ადამიანის მხრიდან მოითხოვს სპეციალურ აღდგენით და მოვლით ღონისძიებებს. აღკვეთილში მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსის მოხმარება.</p> <p>დაცული ლანდშაფტი – ეროვნული მნიშვნელობის მქონე მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის შექმნილი დაცული ტერიტორია.</p>
<p>3.5. სტატისტიკური ერთეული</p> <p>დაცული ტერიტორია.</p>
<p>3.6. სტატისტიკური პოპულაცია</p> <p>საქართველოს დაცული ტერიტორიები.</p>
<p>3.7. საანგარიშო არეალი</p> <p>საქართველოს მთელი ტერიტორია ოკუპირებული რეგიონების ჩათვლით.</p>
<p>3.8. დროის მოცვა</p> <p>2012 წლიდან.</p>
<p>3.9. საბაზო პერიოდი</p> <p>-</p>
<p>4. ზომის ერთეული</p> <p>1000 კმ².</p>
<p>5. საანგარიშო პერიოდი</p> <p>წელი.</p>
<p>6. ინსტიტუციური მანდატი</p> <p>6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები</p> <p>საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf</p> <p>6.2. მონაცემთა გაზიარება</p> <p>-</p>
<p>7. კონფიდენციალურობა</p> <p>7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა</p> <p>1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის

მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.

- კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მუდგანდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.
- კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.

<https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf>

2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“
https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“
<https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf>
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

<https://www.geostat.ge/ka/calendar>

8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე

წლიური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა
10.1. პრეს-რელიზები
-
10.2. პუბლიკაციები
-
10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა
მონაცემები განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე ცხრილების სახით: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika ასევე, PC-Axis-ის მონაცემთა ბაზაში: https://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database_Environment%20Statistics_Protected%20Areas/Protected-areas.px/?rxid=2f4337c6-7370-4a61-8183-e3512c7f62a1
10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა
-
10.5. სხვა
-
10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე
მეთოდოლოგიური დოკუმენტი: https://unece.org/DAM/env/europe/monitoring/Indicators/D-1-en-final.pdf
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: მკვლევარები და სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, მედია საშუალებები და სხვ. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, ეკოლოგიური მდგომარეობის და ეკოსისტემების შესასწავლად და შესაფასებლად.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე

მონაცემები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.
13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
მონაცემების სიზუსტე უზრუნველყოფილია გამოკვლევის და გაანგარიშების მეთოდების შესაბამისობით საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან.
13.2. შერჩევითი ცდომილება
-
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
-
14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის დეკემბრის მეორე ნახევარში.
14.2. პუნქტუალურობა
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღების შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
საქართველოს ყველა რეგიონისთვის გამოყენებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგია და მიდგომები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო მეთოდოლოგიას.
15.2. შესადარისობა – დროში
მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
თანამიმდევრულია.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
თანამიმდევრულია.
16. დანახარჯები და დატვირთვა
მონაცემების მოზიდვა და დამუშავება ხდება შიდა რესურსებზე დაყრდნობით, შესაბამისად მასზე დამატებითი ხარჯი არ გაიწევა.
17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf
17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა
მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.
18. სტატისტიკური დამუშავება
18.1. პირველადი მონაცემები
სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო ყოველწლიურად წარმოადგენს ინფორმაციას დაცული ტერიტორიების თითოეული კატეგორიის შესახებ.
18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე
წლიური.
18.3. მონაცემთა შეგროვება
მონაცემთა შეგროვება ხდება ადმინისტრაციულ წყაროზე დაყრდნობით.
18.4. მონაცემთა კონტროლი

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეჯამება ხდება სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ. ინფორმაცია შესაბამისი შემოწმების შემდეგ ქვეყნდება საქსტატის ვებსაიტზე.

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

გაანგარიშების ფორმულა:

დაცული ტერიტორიების წილი ქვეყნის მთელ ტერიტორიაში (%) = (დაცული ტერიტორიების ფართობი/ქვეყნის ფართობი) × 100

18.6. მოსწორება

არ გამოიყენება.

19. კომენტარი

-